



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოსეშვილი ლევან გიორგის ძე



ლ. მოსეშვილი

მოსეშვილი ლევან გიორგის ძე (23. V. 1940, თბილისი, – 5. III. 2020, იქვე), სპორტსმენი (კალათბურთი), მწვრთნელი. ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი (1964). სსრკ დამს. მწვრთნელი (1982). დაამთავრა სას.-სამ. ინ-ტი მეღვინე ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით (1972) და ფიზკულტურის ინ-ტი (1978). თამაშობდა თბილ. „დინამოს“ შემადგენლობაში (1959–72). იყო ევროპის ჩემპიონთა თასის

მფლობელი (1962), ევროპის თასების მფლობელთა თასის ფინალისტი (1969), სსრკ ჩემპიონატის პირველი (1968), სამგზის მეორე (1960–61, 1969) და მესამე (1965) პრიზიორი, სსრკ თასის მფლობელი (1969), სსრკ ხალხთა სპორტაკიადის მეორე პრიზიორი (1959). როგორც მთ. მწვრთნელი იყო თბილისის „დინამოს“ (1972–2003; 1973 – სსრკ თასის ფინალისტი, 1977 – ჩემპიონატის მესამე პრიზიორი; 1991–92 – საქართვე. ჩემპიონი. 1996–97, 2002 – მეორე პრიზიორი), „თბილავიამშენის“ (2004–09; 2006 – საქართვე. ჩემპიონი, 2005 – მეორე პრიზიორი, 2007–08 – საქართვე. თასის მფლობელი) და სპორტული კლუბ „არმიის“ (2010–2011; 2011 – საქართვე. ჩემპიონი, 2008 – მეორე პრიზიორი, 2011 – საქართვე. თასის, 2009, 2011

- სუპერთასის მფლობელი). მიენიჭა საქართვე. სპორტის რაინდის წოდება (2012). მიღებული აქვს საქართვე. ეროვნ. ოლიმპიური კომიტეტის მედალი (2015).

ლიტ.: ბ ე რ ი შ ვ ი ლ ი ე., ქართული სპორტის ოქროს წიგნი, თბ., 2013; ვინ ვინაა საქართველოში - ქართული ბიოგრაფიული ცნობარი, თბ., 1998-1999.
